პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 50 (3027)

1966 წ. 13 მარტი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## ფინიშის სწორზე

**ლიუბლიანა, 11 მარტი.** შაიბიან ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი, როგორც იტყვიან, ფინიშის სწორზე გავიდნენ. თანდათან უფრო ჭირს თვითეული ქულის მოპოვება, ბრძოლის დაძაბულობამ ლამის ზენიტს მიაღწია.

VI ტურის მატჩებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა „დიდი ოთხეულის": ჩეხოსლოვაკია — შვეციისა და სსრ კავშირ — კანადის მატჩები.

ასპარეზობის ლიდერებმა — ჩეხოსლოვაკიელებმა მხოლოდ შეხვედრის მიწურულში შეძლეს გადამწყვეტი შაიბის გატანა — 2:1. საბჭოთა და კანადელ ჰოკეისტთა მატჩი ძალიან მწვავედ მიმდინარეობდა. I პერიოდში კანადელთა კარში გატანილი შაიბა დიდხანს ერთადერთი იყო. თამაშის დასასრულს საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ 2 შაიბა მოათავსეს მეტოქის კარში და დამსახურებული გამარჯვება იზეიმეს მრისხანე მეტოქესთან — 3:0.

ამ დღეს ჩატარებული სხვა 2 მატჩი ასე დამთავრდა: ფინეთი — პოლონეთი 6:3, აშშ — გდრ 4:0.

6 ტურის შემდეგ გუნდების მდგომარეობა ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხოსლოვაკია | 6 | 6 | 0 | 0 | 31—8 | 12 |
| სსრ კავშირი | 6 | 5 | 1 | 0 | 48—6 | 11 |
| კანადა | 6 | 4 | 0 | 2 | 29—8 | 8 |
| შვეცია | 6 | 3 | 1 | 2 | 24—13 | 7 |
| გდრ | 6 | 2 | 0 | 4 | 8—27 | 4 |
| ფინეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 15—39 | 4 |
| აშშ | 6 | 1 | 0 | 5 | 12—35 | 2 |
| პოლონეთი | 6 | 0 | 0 | 6 | 7—38 | 0 |

## ახალ სახეობაში ბოლო მედლები

### მოსკოველთა გამარჯვება

### ყინულზე მოპოვებული ოქრო

**სვერდლოვსკი, 12 მარტი.** „თეთრი სპარტაკიადის" ბოლოსწინა დღეს ბიატლონისტებმა უტკუსის მთის მიდამოებში გაითამაშეს მედლები ახალ სახეობაში — 4×7,5 კილომეტრზე ესტაფეტაში სროლით. გაიმარჯვა მოსკოვის გუნდმა (ნ. მეშჩერიაკოვი, ვ. გონჩაროვი, ვ. გუნდორცევი, ა. პრივალოვი) — 2:46.47,0. ჩემპიონებმა 40 სამიზნედან მხოლოდ ორსააცილეს.

II ადგილი დაიკავა მოსკოვის ოლქის კოლექტივმა (2:48.12,0), III — ლენინგრადის გუნდმა (2:50.05,0).

50 კილომეტრზე რბოლაში ყველას აჯობა ი. უტრობინმა (მოსკოვის ოლქი). II და III ადგილები შესაბამისად დაიკავეს მოსკოველებმა ა. ნასედკინმა და ვ. ვედენინმა.

**ტერსკოლი, 12 მარტი.** სამთო-მოთხილამურეთა ასპარეზობის ბოლო დღეს ძალიან ცუდი ამინდი დაესწრო: ნისლით დაფარულ ხეობაში ქროდა ძლიერი ქარი. გაიმართა ვაჟთა შეჯიბრება სპეციალურ სლალომში. სტარტზე გამოვიდა 35 სპორტსმენი, რომელთაგან უძლიერესი აღმოჩნდა მოსკოველი ე. ტალიანოვი — 1.59,2. ვერცხლის მედალი მოიგო მურმანსკელმა ს. ივანოვმა, ბრინჯაოსი — ა. კურაევმა (მოსკოვი).

**გორკი, 12 მარტი.** ჰოკეისტთა ტურნირში გაიმარჯვა მოსკოვის ნაკრებმა, რომელმაც გუშინ დაამარცხა კემეროვოს ოლქის გუნდი — 5:0. ვერცხლის მედლები ერგოთ გორკელებს.

**კიევი, 12 მარტი.** ციგურებით ფიგურულ სრიალში ჩემპიონთა ოქროს მედლები მოიხვეჭეს: წყვილთა შეჯიბრებაში — ლენინგრადელებმა ლ. ბელოუსოვამ და ო. პროტოპოპოვმა, სპორტულ ცეკვებში — ლ. პახომოვამ და ვ. რიჟკინმა (მოსკოვი), ერთეულთა სრიალში — თ. მოსკვინამ (ლენინგრადი) და ვ. მეშკოვმა (მოსკოვი).



## ოცდაოთხი საათი...

◆ **კოპენჰაგენი, 12 მარტი.** საზოგადოებრივი ტურნირის საგზურისთვის გელერ—ლარსენის საჭადრაკო მატჩის II პარტიაში ოდესელმა დიდოსტატმა შესანიშნავად წარმართა შეტევა და 43-ე სვლაზე გაიმარჯვა. ჯერჯერობით ანგარიშია 1:0 გელერის სასარგებლოდ. პირველი პარტია, როგორც ცნობილია, გადადებულია დანიელი დიდოსტატის უპირატესობით. მეტოქეებს 6 პარტია დარჩათ სათამაშო.

◆ **პოზნანი, 12 მარტი.** აქ დაიწყო მოფარიკავეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „ვოლოდიევსკის ხმალზე". თავდაპირველად მიმდინარეობს სსრ კავშირის, უნგრეთის, გდრ-ის, გფრ-ის, ბულგარეთისა და პოლონეთის ესპადრონისტთა გუნდური ტურნირი. ფინალისკენ მიმავალ გზაზე საბჭოთა მოფარიკავეებმა დაამარცხეს გდრ-ის (14:2), გფრ-ის (13:3) და ბულგარეთის (12:4) კოლექტივები.

◆ **მოსკოვი, 12 მარტი.** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა-სა და აზს-ავფ-ს (ვარშავა) ფრენბურთელ ვაჟთა გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:0. საპასუხო თამაში გაიმართება 19 მარტს პოლონეთის დედაქალაქში.

## ახალი ამბები

● **მოსკოვი, 11 მარტი.** დღეს აქ ჩამოფრინდა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. მცირე ხნის შესვენების შემდეგ მისი წევრები კვლავ შეიკრიბებიან, რათა 17 მარტს იუგოსლავიას გაემგზავრონ ადგილობრივ გუნდებთან საკონტროლო მატჩების ჩასატარებლად.

● **რიგა, 11 მარტი.** დღეს აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველი ფინალური მატჩი ადგილობრივ ტტტ-სა და პრაღის „სლოვან ორბისის" კალათბურთელ ქალთა გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 62:39. საპასუხო მატჩი შედგება 17 მარტს პრაღაში.

● **ქაირო, 11 მარტი.** არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ღია ჩემპიონატში გამოვლინდნენ ვაჟთა შეჯიბრების ნახევარფინალში მონაწილე ჩოგბურთელები. ესენი არიან შვედი ი. ლუნდკვისტი, ამერიკელი კ. გრებნერი, ავსტრალიელი კ. ფლეტჩერი და საბჭოთა სპორტსმენი ა. მეტრეველი.

ვაჟთა წყვილების ასპარეზობაში ფინალისტები გახდნენ კ. ფლეტჩერი და მასპინძელი ი. ელ-შაფეი. მათ მოუგეს ი. ლუნდკვისტსა და ტ. ულრიკს (დანია) — 3:6, 6:2, 8:6.

## გუშინ...

**თბილისის** მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის VIII ტურში ჩიქობავამ მოუგო ხუბულურს, ბელოზიოროვამ — კობაიძეს, პილცერმა — ჩომახიძეს. დანარჩენი პარტიები გადაიდო. 8 ტურის შემდეგ ლიდერობს ჩიქობავა, რომელსაც 6 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

## ფოტო თვალით

თბილისი.
გაზაფხული.
ფოტოეტიუდი ა. კაკაბაძისა.

ბაკურიანი.
„მზიური ველი".
ფოტო ო. ბელაშვილისა.



## „ლელოს" ინტერვიუ

## 7 შეკითხვა

ჩვენი გაზეთის ლენინგრადელი კორესპონდენტი ა. გელერი ესაუბრა სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელს ა. გომელსკის, რომელიც ესწრებოდა საკავშირო ჩემპიონატის ლენინგრადის ტურის მატჩებს. ვბეჭდავთ ამ ინტერვიუს.

● **როგორ აფასებთ თბილისის „დინამოს" თამაშს მიმდინარე სეზონში?**

— საერთოდ, გუნდის შეფასებისას, მთავარ ყურადღებას ვანიჭებ სტაბილურობის ფაქტორს. სამწუხაროდ, თბილისის კალათბურთელებს სწორედ ეს სტაბილურობა აკლიათ. მაღალ დონეზე ჩატარებული მატჩების გვერდით, მათ აქვთ ძალზე სუსტად ნათამაშევი შეხვედრებიც. ასე რომ, ჩემი აზრით, დინამოელები შარშან უკეთ გამოიყურებოდნენ.

● **თქვენი აზრით, რითია გამოწვეული „დინამოს" უთანაბრო თამაში?**

— პირველ ყოვლისა, მთელი რიგი წამყვანი კალათბურთელების უყოლობით. დინამოელთა მწვრთნელი ო. ქორქია მთელი ჩემპიონატის მანძილზე სწორედ ამიტომ აღმოჩნდა არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში.

● **„დინამოს" რომელი მატჩი მოგეწონათ განსაკუთრებით?**

— ჩემს მიერ ნანახ შეხვედრებში საუკეთესოდ მიმაჩნია მისი მატჩი რიგის არმიელებთან. თბილისელებმა ეს შეხვედრა მეტად მაღალ დონეზე ჩაატარეს.

● **რომელ მოთამაშეს გამოყოფთ „დინამოს" შემადგენლობაში?**

— პირველ ყოვლისა, ვ. უგრეხელიძეს, რომლის თამაშს წინა წლებთან შედარებით ერთგვარი „დაცემა" ეტყობოდა. მაგრამ ახლა უგრეხელიძე კვლავ თავის საუკეთესო ფორმას უახლოვდება. დამაჯერებლად თამაშობენ ნაკრების წევრები ზ. საკანდელიძე და ა. სხიერელი.

● **ეს ორი კალათბურთელი დიდი ხანი არაა, ნაკრებში შეიყვანეთ. ხომ არ მოტყუვდით არჩევანში?**

— ოდნავადაც არა. მათი თამაშით კმაყოფილი ვარ და დარწმუნებული გახლავართ, რომ უახლოეს წლებში ისინი ნაკრების წევრებად დარჩებიან. მათ თამაშს, რა თქმა უნდა, აქვს ნაკლოვანი მხარეები, მაგრამ ორივემ იცის საკუთარი მინუსები და გულმოდგინედაც მუშაობს ოსტატობის ასამაღლებლად.

● **რა აზრისა ხართ ნაკრებში ვ. უგრეხელიძის დაბრუნების პერსპექტივაზე?**

— ჩვენი გუნდი ახალგაზრდა მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული და ახლა მთავარ ამოცანად მიგვაჩნია მათი ბრძოლაში გამოწრთობა. უგრეხელიძე ასაკით ნაკრების წევრებზე „ხნიერია", ამიტომ მისი შემადგენლობაში შეყვანა უაზრობა იქნებოდა. თუ ვ. უგრეხელიძემ მსოფლიო პირველობის ან ოლიმპიური თამაშების წინ ექსტრა-კლასის თამაში გვიჩვენა, იგი უმალვე იქნება შეყვანილი ნაკრებში.

● **რას იტყვით საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდზე?**

— სამწუხაროდ, დიდი ხანია არ მინახავს მისი თამაში. მაგრამ მშვენივრად ვიცი, რა ძალის გუნდიცაა ტტტ. თბილისელი სტუდენტები ჩემპიონატში ღირსეულად ებრძვიან რიგელებს. ეს ფაქტი მრავლისმეტყველია და კომენტარს არ საჭიროებს, მით უმეტეს, რომ თბილისელებმა I წრეში დაამარცხეს ჩემი თანაქალაქელები. უნდა აღვნიშნო, რომ თუ შარშან თბილისელმა ქალიშვილებმა ვერცხლის მედლები დაძაბულ ბრძოლაში მოიპოვეს, წლეულს მათ ფაქტიურად განაღდებული აქვთ ვიცე-ჩემპიონობა და ახლა ოქროსთვისაც კი იბრძვიან.

## დარბაზიც რომ ჰქონდეთ...

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში ბევრს უყვარს ფიზკულტურა და აქტიურადაც მონაწილეობს საწარმოს სპორტულ ცხოვრებაში.

აქ შექმნილია ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ხელბურთის, ჭადრაკისა და შაშის სექციები. მაგრამ ღია მოედნებზე ხომ მხოლოდ კარგ ამინდში შეიძლება ვარჯიში, სპორტდარბაზი კი იმდენად პატარაა, მაგიდის ჩოგბურთის სათამაშოდ თუ გამოდგება. ფრენბურთის, კალათბურთისა და ხელბურთის მოყვარულებმა ბევრჯერ სთხოვეს დირექციას — დარბაზი აგვიშენეთო. თხოვნა „დააკმაყოფილეს" და ახალი ნაგებობა დააპროექტეს, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მშენებლობის დაწყებას კი პირი არ უჩანს.

ქარხანაში რეგულარულად გამოდის სპორტული კედლის გაზეთი, ეწყობა ფოტოსტენდი, ხშირად იმართება საუბარი ფიზიკური კულტურის სხვადასხვა საკითხზე.

შარშან აქაური ფიზკულტურელები წარმატებით გამოვიდნენ ოქტომბრის რაიონის მთელ რიგ შეჯიბრებებში, შემდეგ ბაკურიანში სცადეს ძალა — განთიადელ მოთხილამურეთა ტურნირში II ჯგუფში გამოვიდნენ და საპრიზო ადგილი დაიკავეს. ყოველივე ამით ქარხნის სპორტულმა კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა თანრიგოსანთა მომზადების გეგმის ყველა მაჩვენებელი და „განთიადის" ცენტრალური საბჭოსა და კომკავშირის ოქტომბრის რაიკომის სიგელები დაიმსახურა.

**გ. ჟიბოშვილი.**

## თავს მართლაც არ ირცხვენენ

ტყიბულის მე-2 საშუალო სკოლის დერეფანში ჩვენი ყურადღება ლამაზად გაფორმებულმა კედლის გაზეთმა მიიპყრო. „ხელბურთი სპორტის ვაჟკაცური სახეობაა. ჩვენც გვიტაცებს იგი. დაგვეხმარეთ, მოვაწყოთ მოედანი, შევქმნათ სექცია და თავს არც აქ შევირცხვენთ", — წერდა მოსწავლე ა. მაჩალაძე.

როცა სკოლის ფიზკულტურულ მუშაობას ვეცნობოდით, ფიზაღზრდის მასწავლებელ გ. სულაქველიძეს ამ წერილის თაობაზეც ვკითხეთ.

— „ფიზკულტურელის" ყოველ კრიტიკულ წერილს პედსაბჭო იხილავს. ამ საკითხზე უკვე იყო მსჯელობა და სკოლის დირექციამ პრაქტიკული დახმარება აღგვითქვა. მალე მოედნის მოწყობას შევუდგებით.

მე-2 საშუალო სკოლას არც შენობა აქვს სხვებზე უკეთესი და არც სპორტული ბაზები. სამაგიეროდ, აქ მეტად იგრძნობა კოლექტივის აქტიურობა, ახალგაზრდებზე ზრუნვა და, რა თქმა უნდა, მომთხოვნელობაც. სკოლაში ორასზე მეტი ფიზკულტურელია. მათი [illegible] ლები და მოც[illegible] [illegible] ნძილზე რაიონში [illegible] ვლებიან. მ. კობახიძე, [illegible], ე. ბობოხიძე, ა. მესხი, ი. ჯაშიაშვილი, ე. გუჯეჯიანი და სხვები აქაური ნაკრების წევრები არიან.

იმ დღეს, როცა სკოლის სპორტულ ბაზებს ვათვალიერებდით, დარბაზში, კალათბურთის ფარიან, რამდენიმე მოსწავლე ვარჯიშობდა, ერთ-ერთ ნათელ და ფართო ოთახში კი მოჭადრაკეები მისხდომოდნენ მაგიდებს. ტარდებოდა სასკოლო პირველობა, რომელიც თვით მოსწავლეთა მიერ იყო ორგანიზებული. მათვე ჩაატარეს მოსამზადებელი მუშაობა, საზეიმო ელფერი მისცეს შეჯიბრებას და მსაჯობაც თავად.

**თ. ბაჩეჩილაძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ტყიბული.

# მძლეოსნის ვარჯიში გაზაფხულზე

### მწვრთნელის ტრიბუნა

გაზაფხულზე მთავრდება ზამთრის თვეებში გაწეული დიდი და დაძაბული მუშაობა და სპორტსმენები უშუალოდ საშეჯიბრებო პერიოდისთვის იწყებენ სამზადისს.

ზამთრის კომპლექსის ბევრი ვარჯიში მარტის ბოლოსა და აპრილშიც გამოიყენება. ამავე დროს, ყოველკვირეულად უფრო-დაუფრო მეტი ადგილი ეთმობა ზაფხულის თვეებისთვის დამახასიათებელ ვარჯიშებს, მათი მოცულობა და ინტენსიობა თანდათანობით იზრდება, დატვირთვა უახლოვდება საშეჯიბრებო პერიოდის დასაწყისის საწვრთნელ დონეს.

ცხადია, ამგვარი დატვირთვით ვარჯიში მხოლოდ იმ სპორტსმენებს შეუძლიათ, რომელთაც რეგულარული წვრთნით საერთო და სპეციალური მომზადება გაიუმჯობესეს. იმ ათლეტებისთვის კი, რომელთაც ზამთარში სისტემატურად არ უვარჯიშიათ, სამუშაოთა მოცულობის ზრდა მეტისმეტად ფრთხილად უნდა მოხდეს. დანაკარგის ზედმეტი დატვირთვით ანაზღაურება დაუშვებელია.

მძლეოსნებმა გაზაფხულზე უნდა განაგრძონ განსაკუთრებით იმ ფიზიკური თვისებების სრულყოფა, რაც აუცილებელია არჩეულ სახეობაში წარმატებისათვის. ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს კუნთთა ძირითადი ჯგუფის ძალის განვითარებას. შეიძლება მრავალი მაგალითი მოვიყვანოთ იმის საილუსტრაციოდ, თუ რა უარყოფითად მოქმედებს გაზაფხულზე შტანგით წვრთნის შეწყვეტა ჩვენი მტყორცნელების, სპრინტერებისა და მხტომელების ძალისმიერ მომზადებაზე და როგორ აქვეითებს მათს სპორტულ შედეგებს ზაფხულის თვეებში.

წვრთნის საგაზაფხულო ეტაპზე აგრეთვე დიდი დრო უნდა დაეთმოს მოსალოდნელი შეჯიბრებებისთვის საჭირო ტექნიკური და ტაქტიკური ჩვევების სრულყოფას.

თუ მოსამზადებელი პერიოდის პირველ ეტაპზე (დეკემბერი—მარტის პირველი ნახევარი) ძირითადად საერთო ფიზმომზადების სრულყოფა ხდებოდა, მარტის მეორე ნახევარსა და აპრილში თანდათან იცვლება საერთო და სპეციალური მომზადების შეფარდება. ახლა მთავარ ადგილს იკავებს სპეციალური მომზადების საშუალებანი და, პირველ ყოვლისა, უშუალოდ არჩეულ სახეობაში ვარჯიში: სხვადასხვა დისტანციაზე მორბენლებისა და თარჯმობენლებისთვის — სადა და სათარჯო რბენა, მხტომელებისთვის — ხტომა, მტყორცნელებისთვის — ტყორცნა და ა. შ.

ამ პერიოდში შეცდომა იქნებოდა დამხმარე ვარჯიშების არსენალის შემცირება. არჩეული სახეობის გარდა, წვრთნის პროგრამა სავსე უნდა იყოს სპეციალური მოსამზადებელი მეცადინეობებით, ამასთან, ფართოდ უნდა გამოვიყენოთ თანაბარ და შენაცვლებით ტემპში (უმეტესად, კროსების სახით) და მოკლე მანძილებზე რბენა (აჩქარებით სტარტიდან, სვლით, ესტაფეტა, რბენა დახრილზე, ბორცვზე), მძლეოსნური საჭურვლის, ქვების ან სხვა საგნების ტყორცნა, ხტომები და ხტომითი ვარჯიშები (ადგილიდან და გარბენით, სტადიონზე და ბორცვიან ადგილებში დაბრკოლებებით), ვარჯიშები სიმძიმეებით (შტანგით, საწონებით, ორბირთვებით, სილიანი ტომრით) და სხვ.

გაზაფხულზე დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ სპეციალური ამტანობის გამომუშავებას. მაგალითად, მორბენლებისა და სპორტული მოსიარულეებისათვის ამოცანა წყდება ძირითადად რბენის (სიარულის) სისწრაფისა და საწვრთნელი ვარჯიშების რიცხვთა ზრდით. იმ მძლეოსნებმა, რომელთაც რაღაც მიზეზის გამო ვერ შეძლეს ზამთარში სათანადოდ გამოემუშავებინათ საერთო ამტანობა, ეს ხარვეზი აპრილში კროსების, შენაცვლებითი რბენისა და სხვათა ფართოდ გამოყენებით უნდა შეივსონ.

ამ პერიოდში მცირე როლს როდი თამაშობს საკონტროლო ტურნირები როგორც ძირითად სახეობებში, ისე დამატებით საკონტროლო ვარჯიშებში. მტყორცნელებსა და მხტომელებს, მაგალითად, არგებდათ შეჯიბრებები სტარტიდან 30-100 მეტრზე რბენასა და სხვადასხვა მძლეოსნურ მრავალჭიდში.

საგაზაფხულო შეჯიბრებებში მონაწილეობა, როგორც წესი, არ მოითხოვს სპეციალურ მომზადებას და, ამდენად, გამოყენებული უნდა იქნას როგორც ერთ-ერთი საწვრთნელი საშუალება საშეჯიბრებო გამოცდილების შესაძენად და ნებისყოფის განსამტკიცებლად.

მძლეოსნობის სახეობისა და ინდივიდუალურ თავისებურებათა ურთიერდამოკიდებულებით სპორტსმენები იყენებენ იმ ვარჯიშებს, რომელთა დახმარებითაც უფრო ეფექტურად შეიძლება გადაჭრან მათ წინაშე მდგარი ამოცანები.

აბსოლუტური სისწრაფის ამაღლებისა და სპეციალური ამტანობის განვითარებისათვის საშუალო მანძილებზე მორბენლებმა ძირითადად უნდა გამოიყენონ განმეორებით და შენაცვლებით რბენა. მხტომელები გაზაფხულზე ჩვეულებრივ რამდენადმე ამცირებენ ხტომითი ვარჯიშების მოცულობას, მაგრამ ზრდიან სრული გარბენით ხტომების რიცხვს. მტყორცნელები, საერთო ფიზმომზადების კუთრი წონის შემცირების პარალელურად, ზრდიან სპეცმომზადების მოცულობას ნორმალური და დამძიმებული ხელსაწყოების ხშირი გამოყენებით. ათლეტები დროის დიდ ნაწილს მათ მიერ არჩეული სახეობის ტექნიკის სრულყოფას უთმობენ.

არ შეიძლება გვერდი აუაროთ იმ სიძნელეებს, რაც მძლეოსნებს გაზაფხულზე წვრთნისას შეიძლება შეხვდეთ. ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი როდია კარგი, შესაფერისი ბაზა. თუ არის, წვრთნისთვის მხოლოდ მაისის დასაწყისში ან, უკეთეს შემთხვევაში, აპრილის ბოლოდან გამოდგება. ამიტომ მთელი საწვრთნელი ვარჯიშების წარმართვა პარკში, ბაღში, მოასფალტებულ გზატკეცილებზე ან დარბაზში გვიხდება. ეს, ცხადია, ართულებს ვარჯიშის დაგეგმვასა და გამართვას, თანაც, შეუძლებელია გაითვალისწინო ამინდისა და ნიადაგის თავისებურებანი. ამდენად, გაზაფხულზე წვრთნისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მწვრთნელთა გამომგონებლობასა და ინიციატივას. მწვრთნელმა კარგად უნდა გაითვალისწინოს გარემო პირობები და დროულად შეცვალოს ვარჯიშთა პროგრამა.

საგაზაფხულო ეტაპზე რეგულარული წვრთნა ზაფხულში სპორტსმენის წარმატების საწინდარს წარმოადგენს.

**ლ. ვიორბაძე,**
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

## საინსტიტუტო კონფერენციებზე

„ბურევესტნიკის" ფიზკულტურულ კოლექტივებში მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციები. ახლახან ასეთი კონფერენციები გაიმართა საქართველოს პოლიტექნიკური და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტების სპორტკლუბებში.

პოლიტექნიკოსთა IX კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა მ. სანიკიძე, რომელმაც ვრცლად ილაპარაკა ორი წლის განმავლობაში სპორტკლუბის მიერ გაწეულ მუშაობაზე. კამათში მონაწილეობა მიიღეს ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ი. ბუაჩიძემ, დოცენტმა ვ. ნედკაჩოვმა, ასპირანტმა რ. სურამელაშვილმა, სტუდენტებმა ვ. გოზოზოვმა, ნ. ტუროვმა და სხვ.

მიღებულ იქნა დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს სპორტკლუბის მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ხარვეზების აღმოფხვრას.

**ვ. გობეჯიშვილი.**

* * *

მომავალი ექიმების სპორტკლუბის V კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარე ვ. გვანცელაძე. სპორტსმენთა თავყრილობაზე ამხილეს ფიზკულტურულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და დასახეს უკეთ მუშაობის გზები.

სპორტკლუბის გამგეობის ახალი შემადგენლობის არჩევის შემდეგ „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ გ. ჭილაიამ სიგელები გადასცა ინსტიტუტის მოწინავე სპორტსმენებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

**გ. ჩხიკვაძე.**

## „ლელოს" [illegible]

### „მივხედოთ ცისკარას"

ამ სათაურით „ლელოს" ა. წ. 30 იანვრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკია, რომ სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის აჭარაში ცუდად იყენებენ მთა ცისკარას ბუნებრივ პირობებს.

აჭარის სპორტკავშირის თავმჯდომარე შ. მუავანაძე გვატყობინებს: „წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება. მთა ცისკარა მართლაც კარგი ადგილია სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის. ამის თაობაზე დროულად დავსვით საკითხი ზემდგომ ორგანოებში და 1961 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გამოჰყო კიდეც საჭირო თანხა ცისკარაზე და სოფელ ქედლებში (ხულოს რაიონი) სათხილამურო ბაზების მოსაწყობად. დროულად შევადგინეთ პროექტი, დაიწყო მუშაობა, მაგრამ შემდგომში ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ყველაფერი შეწყდა.

ახლა ჩვენში კვლავ ფართო გასაქანი მიეცა სპორტული ბაზების მშენებლობას და, ამდენად, დროულია აჭარაში სათხილამურო ბაზების მშენებლობის განახლებაც. ოღონდ ეგ არის, ამ საქმით ჩვენს გარდა უნდა დაინტერესდეს საქართველოს სპორტკავშირიც და დაგვეხმაროს საკითხის დადებითად გადაწყვეტაში".

### გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

„ლელოს" რედაქციამ მიიღო წერილი სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოს ახალგაზრდებისგან. წერილში საყვედურს გამოთქვამდნენ: ჩვენს მიერ მოწყობილი საფეხბურთო მინდორი მოასწორეს და სრულიად სხვა, უჭიროებისთვის გამოიყენესო.

როგორც საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის მდივანი დ. გელაშვილი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტი დადასტურდა. მიღებული ზომების შედეგად კოლმეურნეობის გამგეობამ დასახა ღონისძიება მოედნის კეთილმოწყობად.

### სოხუმი

აფხაზეთის ჭაბუკ მოჭიდავეთა პირად-გუნდურ პირველობაში ყველას აჯობა განათლების სამინისტროს ბავშვთა სპორტსკოლამ. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ „დინამო" და „სპარტაკი".

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: რ. მირცხულავა, თ. გვასალია (ორივენი — „სპარტაკი"), მ. კიკნაძე, ი. შონია, ი. ახალაძე, ფ. ხურცილავა, რ. წინორია (ყველანი — სპორტსკოლა), ა. კიკაბიძე, ა. ჩოლოკიანი (ორივენი — „დინამო").

**შ. ჯალაღონია.**

### წალენჯიხა

კულტურის სახლის დარბაზში გაიმართა ქალაქის პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობასა და კრივში. მოჭიდავეებში თავი გამოიჩინეს: მ. მორგოშიამ, ვ. უზნაძემ, დ. სალიამ (ყველანი — სპორტსკოლა), ო. ახალაიამ, ა. ოქრუაშვილმა, ა. ვაშაკიძემ, ა. კვარაცხელიამ, ს. ლემონჯავამ (ყველანი — „კოლმეურნე").

მოკრივეები ასპარეზობდნენ შვიდ წონით კატეგორიაში. გაიმარჯვეს: გ. ციკოლიამ, გ. მორგოშიამ, ხ. სამელიამ, ნ. თვალთვაძემ, თ. სალიამ, ვ. გოგიბერიძემ და კ. მებონიამ (ყველანი — სპორტსკოლა).

**შ. მიქავა.**

### ბათუმი

აჭარის ფრენბურთელთა აქ დამთავრებული ჩემპიონატის ქალთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბათუმის „სპარტაკისა" და ბავშვთა სპორტსკოლის გუნდები. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა.

**ი. ბერძენიშვილი.**

რუსთავში ახლახან დამთავრდა კალათბურთელ ქალთა საქალაქო პირველობა. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მეტალურგიული ქარხნის, განათლების განყოფილების I და II, ქიმიური კომბინატისა და სინთეზური ბოჭკოების ქარხნის გუნდები.

ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა განათლების განყოფილების I ნაკრებმა.



სურათზე: ქიმიური კომბინატისა და სინთეზური ბოჭკოების ქარხნის კალათბურთელთა შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო და ტექსტი რ. გაბრიჭიძისა.

# სადღაა მასობრიობა?

გორელი ფალავნების სახელი კარგა ხანია საყოველთაოდაა ცნობილი. აქაური მოჭიდავეები ჩვენი ნაკრები გუნდების საიმედო ძალას წარმოადგენენ. ეს ბუნებრივია: ჭიდაობა რაიონში ერთ-ერთ მასობრივ და წამყვან სახეობას წარმოადგენს. მაგრამ ამას წინათ „განთიადის" სამმისტთა კოლექტივების პირველობამ ვერ გაამართლა დებულების ძირითადი პუნქტი, სადაც ჩაწერილია, რომ შეჯიბრების მიზანია ნიჭიერ მოჭიდავეთა გამოვლენა, მათი ოსტატობის ამაღლება და ნაკრები გუნდის შედგენა.

ნაკრები გუნდი მართლაც შედგა, მაგრამ... მხოლოდდამხოლოდ ბამბეულის კომბინატის სპორტსმენების ხარჯზე: ვ. ფალეიშვილი, ი. კლდიაშვილი, გ. ზაუტაშვილი, ა. კურტანიძე, ი. ნატრიაშვილი, გ. ხანიშვილი და ა. პაპიტაშვილი უძლიერესები აღმოჩნდნენ თავიანთ წონებში.

დებულება ყველა კოლექტივს უხსნიდა გზას განუსაზღვრელი რაოდენობით გამოეყვანათ მონაწილენი, მაგრამ ტურნირში სულ 35 მოჭიდავე გამოვიდა (აქედან — 16 ათლეტი ბამბეულის კომბინატისა იყო). მაშ სადღაა მასობრიობა?

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ კიდევ ერთი ფაქტი. მოასპარეზეებს არ ჰქონდათ საკუთარი სპორტული ტანსაცმელი და ორიოდე ჩოხა ხელიდან ხელში გადადიოდა.

**გ. თენგოშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

გორი.

# რაციონალურად აგებული კალენდრის შესახებ

გ. სიხარულიძე,
საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარე.

1966 წლის საფეხბურთო სეზონი ეს-ესაა იწყება, ჩვენმა სპორტისმოყვარულებმა კი უკვე განიცადეს პირველი გაწბილებანი. დაუფარავად უნდა ითქვას: საბჭოთა გუნდების გამოსვლები საერთაშორისო სარბიელზე მაინცდამაინც სახარბიელო არ იყო. რამდენიმე მარცხი განიცადა საბჭოთა ნაკრებმა სამხრეთ ამერიკის სტადიონებზე, ხოლო კიევის დინამოელები გამოეთიშნენ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებას შოტლანდიის „სელტიკთან" შეხვედრების შედეგად. დასაფიქრებელი აქ საკმარისზე მეტია: წლევანდელი წელი ხომ მსოფლიო ჩემპიონატის წელია.

ჯერჯერობით თავი დავანებოთ ნაკრებს. მის წინაშე ახლა საგანგებო ხასიათის ამოცანებია დასახული და ზამთრის თვეებში ფიქრი საჭიროა არა მარტო გამარჯვებებზე. მთავარია გეგმაზომიერი, მიზანდასახული მზადება მსოფლიო ჩემპიონატისთვის. რაც შეეხება კიევის დინამოელებს, აი, მათ სულ სხვაგვარად მოეთხოვებათ, ვინაიდან ისინი ხვდებოდნენ არა სპარინგ-პარტნიორებს, არამედ საბჭოთა ფეხბურთის პრესტიჟს იცავდნენ ევროპის საუკეთესო გუნდების ტურნირში.

კიეველთა დამარცხებამ ამ შეჯიბრებაში დიდი რეზონანსი ჰპოვა როგორც სპეციალისტთა შორის, ისე საზოგადოებრიობის ფართო წრეებშიც. საერთო აზრი ასეთია: კიეველები თამაშის კლასით არ ჩამოუვარდებიან შოტლანდიელებს. მაგრამ დამარცხების მიზეზად მიაჩნიათ უკრაინელ ფეხბურთელთა მიერ სპორტული ფორმის დაკარგვა. სწორედ ამან განაპირობა წაგება ორი მატჩის ჯამში.

საქმე მხოლოდ ამ კერძო მოვლენაში — კიეველთა დამარცხებაში არ გახლავთ. ეს საკითხი გადადის ჩვენი ფეხბურთის მეტად საჭირბოროტო და მტკივნეულ პრობლემაში. საკითხი ისმის ასე: როგორ უნდა უზრუნველვყოთ ჩვენი სრულფასოვანი მონაწილეობა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებებში ან სხვა დიდ შეჯიბრებებში? ამ პოპულარულ საერთაშორისო ასპარეზობათა ყველაზე გადამწყვეტი ეტაპი ემთხვევა ჩვენს მეტისმეტად გაჭიანურებულ არდადეგების პერიოდს სეზონებს შორის. ამიტომ სსრ კავშირის სხვა კლუბებიც იმავე სიძნელეებს წააწყდებიან მომავალში, რომლებსაც შეხვდნენ კიევის დინამოელები.

სად ვპოვოთ გამოსავალი?

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტისას ყველაზე უფრო იოლი, რა თქმა უნდა, ისაა, რომ ჩირგვებში ჩარგო თავი და უარი თქვა ევროპის ტურნირებში მონაწილეობაზე. მაგრამ საკითხის ასეთი გადაჭრა პრინციპულად ეწინააღმდეგება საბჭოთა სპორტის ამოცანებს. ამგვარ იზოლაციას არავისთვის მოუტანია ოდესმე ხეირი. უბრალოდ — ჩვენ უფლება არა გვაქვს ამ გზას დავადგეთ.

გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან, რასაკვირველია, არის და ერთ-ერთი მათგანია ის, რომ სწორად და რაციონალურად ავაგოთ შეჯიბრებათა კალენდარი საკავშირო პირველობაზე „ა" კლასის ოსტატთა გუნდებისთვის. ანალიზს ვუკეთებთ რა ჩვენი ფეხბურთის კლასის ზრდის შემაფერხებელ მიზეზებს, ვუბრუნდებით ერთსა და იმავე ამოსავალ, საკვანძო წერტილს: უხეირო კალენდარს. სწორედ საკავშირო ჩემპიონატის ეს არარაციონალურად აგებული კალენდარი ამუხრუჭებს წლების მანძილზე ჩვენი საუკეთესო გუნდების კლასის ზრდას. მაგრამ თუ ადრე ეს იგრძნობოდა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მასშტაბებით, ე. წ. შინაურ შეჯიბრებებში, ახლა მისი მიზეზით დამარცხებები უნდა ვიწვნიოთ საერთაშორისო სარბიელზე. ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო კალენდარი დიამეტრალურად საწინააღმდეგოა ევროპისა და სხვა ქვეყნების უმრავლესობის დიდ შეჯიბრებათა ვადებისა და საგრძნობლად გვიშლის ხელს სრულფასოვნად ვითამაშოთ საერთაშორისო შეჯიბრებებში, რომლებშიც, ვიმეორებ, ჩვენ აუცილებლად უნდა მივიღოთ მონაწილეობა თუ გვინდა ბოლოსდაბოლოს სათანადოდ ავამაღლოთ სამამულო ფეხბურთის საერთო კლასი. ამაზე ჩვენ ლაპარაკი გვქონდა ცენტრალურ და საერთაშორისო პრესაში ამ რამდენიმე წლის წინ.

რაში მდგომარეობს საბჭოთა კავშირის ოსტატთა გუნდების შეჯიბრებათა კალენდრის პრინციპული ნაკლოვანებანი? ეს, პირველ ყოვლისა, არის მეტისმეტად, უზომოდ გაჭიანურებული პერიოდი სეზონებს შორის, ხოლო შემდეგ — არიტმულობა, როცა თამაშები იგეგმება ან მეტისმეტად შემჭიდროებულ ვადებში, ან გაუმართლებლად გრძელი ინტერვალებით. ჩვენ ამ საკითხზეც არაერთხელ გამოვსულვართ საჯაროდ, დაწყებული 1962 წლიდან*.

1965 წლის ჩემპიონატში თბილისის დინამოელებმა 32 მატჩიდან მხოლოდ 7 ჩაატარეს ოპტიმალური ხანგრძლიობის ინტერვალებით თამაშებს შორის (6-7 დღე). ერთ შემთხვევაში ინტერვალი უდრიდა სულ სამ დღეს, ხოლო 16 შეხვედრა (ეს კი მთელი კალენდრის 50 პროცენტია) ჩატარდა მოკლე ინტერვალებით ყოველი 4-5 დღის შემდეგ. დარჩენილ 8 შემთხვევაში თამაშებშუა ინტერვალების ხანგრძლიობამ გადააჭარბა ოპტიმალურ საზღვრებს. V ტურის შემდეგ დინამოელებს მოუწიათ თითქმის ერთთვიანმა შესვენებამ (9 მაისიდან 6 ივნისამდე), რის შემდეგაც ჩემპიონატის ლიდერმა მკვეთრად დათმო თავისი პოზიციები და გუნდის ხელმძღვანელობას მოუხდა წლის ამ დროისათვის უჩვეულო ამოცანების გადაჭრა: როგორ შეენარჩუნებინა მოთამაშეთა სპორტული ფორმა და კოლექტივის ბრძოლისუნარიანობა?

ანალოგიურ პირობებში აღმოჩნდნენ სხვა გუნდებიც. მოსკოვის ტორპედოელებმა, მაგალითად, 6-7-დღიანი ინტერვალებით ჩაატარეს 9 მატჩი, 4-5 დღის ინტერვალებით 13 მატჩი, 1 თამაში 3-დღიანი ინტერვალით, სხვა შემთხვევებში კი შესვენება ოპტიმალურზე ხანგრძლივი იყო. უკვე მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, რომ გუნდებს შარშან არ ჰქონდათ ნორმალური პირობები საწვრთნელი მუშაობის წარმოებისთვის. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ჩვენი გამოანგარიშებანი მხოლოდ საკავშირო ჩემპიონატს ეხება და აქ სათვალავში არაა მიღებული თასის, საერთაშორისო და სხვა შეხვედრები, ნათელი გახდება, რომ საბოლოო დაანგარიშებისას დამოკლებული ინტერვალების რიცხვი თამაშებს შორის კიდევ უფრო მოიმატებს.

ჩემი აზრით, ზედმეტი არ იქნება თუ ვილაპარაკებთ სსრ კავშირის თასის გათამაშების წესის შეცვლაზეც. ამჟამად არსებული სტატუსის პირობებში ამ შეჯიბრებამ რამდენადმე დაკარგა პოპულარობა და ეს მაშინ, როცა ჩვენში არ არის არც ერთი ტურნირი რესპუბლიკებისა და ქალაქების ნაკრები გუნდების მონაწილეობით. რა მოხდება, რომ სსრ კავშირის თასის 1967 წლის გათამაშება ჩავატაროთ ჩვენი ქვეყნის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით რესპუბლიკათა ნაკრები გუნდებისთვის (მოსკოვისა და ლენინგრადის კოლექტივების ჩათვლით) ჩვეულებრივი ოლიმპიური სისტემით? სხვა წლებში სსრ კავშირის თასი შეიძლება გათამაშდეს, როგორც ყოველთვის, საკლუბო გუნდებისთვის, მაგრამ მეოთხედფინალიდან დაწყებული, წესად შემოვიღოთ 2 მატჩის ჩატარება საკუთარ და მეტოქის მინდვრებზე.

სპეციალურმა სამეცნიერო გამოკვლევებმა და პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ თუ ინტერვალი თამაშებს შორის შეადგენს 6-7 დღეს, გუნდს საშუალება აქვს სრულფასოვნად ჩაატაროს საწვრთნელი პროცესი, გადაწყვიტოს მასთან დაკავშირებული საჭირო ამოცანა. ამ პირობებში შესაძლებლობა იქმნება კვირის შუაგულში მოეწყოს ერთი მეცადინეობა დიდი დატვირთვით და, საერთოდ, გუნდების ხელმძღვანელებს შეექმნათ შესაძლებლობა ნორმალურად გაანაწილონ საწვრთნელი დატვირთვები საკვირაო ციკლში. დამოკლებული ინტერვალები თამაშებს შორის მხოლოდ ხელს უშლიან გეგმაზომიერ საწვრთნელ მუშაობას. ამ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ სპორტული ფორმის შენარჩუნება, უკეთეს შემთხვევაში — ტექნიკური და ტაქტიკური, ან სხვა ცალკეული ამოცანების გადაწყვეტა ისევ და ისევ გარკვეული შეზღუდვებით.

უცხოეთის ქვეყნებისა და სსრ კავშირის სპეციალისტები არაერთხელ გამოსულან საჯაროდ იმის თაობაზე, რომ საჭიროა მკაცრად დავიცვათ თამაშებშუა ოპტიმალური, სტაბილური ინტერვალები. მიუხედავად ამისა, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას აგერ უკვე მერამდენე წელია არ ძალუძს აღკვეთოს ეს ყოვლად არანორმალური მდგომარეობა შეჯიბრების კალენდართან დაკავშირებით. საბოლოოდ ვღებულობთ იმას, რომ სეზონის მეტ ნაწილს გუნდები თამაშობენ ან მეტისმეტად მოკლე ინტერვალებით, ან გაუმართლებლად ხანგრძლივი შესვენებებით.

ბევრი სპეციალისტი გამომდინარეობს სპორტის სხვა სახეობათა, კერძოდ, მძლეოსნობის გამოცდილებიდან და მხარს უჭერს ფეხბურთელთა მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლიობის ზრდის აუცილებლობას. არა მგონია ამან სარგებლობა მოგვიტანოს, ვინაიდან ამიერიდან სისტემატურად მოგვიწევს ევროპის ტურნირებში მონაწილეობა ზამთრობით, ამიტომ უნდა მოვძებნოთ პრობლემის გადაწყვეტა სხვა კუთხით. პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანაა პირობების შექმნა სრულწლიური საწვრთნელი მუშაობის ნორმალური წარმოებისთვის. ამას კი მივაღწევთ თამაშებშუა 6-7-დღიანი ინტერვალების სტაბილიზაციით. ამასთან, მონაწილეობა სხვადასხვა შეჯიბრებაში (სსრ კავშირის პირველობა, თასი, საერთაშორისო მატჩები) შეიძლება გავანაწილოთ დროის გაცილებით უფრო დიდ მონაკვეთზე და მოვსპოთ დასვენების ხანგრძლივი პერიოდი სეზონებს შორის.

ამრიგად, ჩვენი წინადადებაა გადავდგათ გადამჭრელი ნაბიჯი და პრინციპულად გარდავქმნათ ოსტატთა გუნდების შეჯიბრებას ჩატარების სისტემა. ამ მიზნით საჭიროა საკავშირო შეჯიბრებათა სეზონი გავზარდოთ 10-11 თვემდე. საერთაშორისო ფეხბურთის ავანგარდში მყოფი ქვეყნების — ბრაზილიის, ინგლისის, უნგრეთის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვათა მაგალითი გვიჩვენებს, რომ სეზონის ასეთი გახანგრძლივება პრაქტიკულად შესაძლებელია და თუ თამაშები მიმდინარეობს რიტმულად, კვირაში ერთხელ, იგი სპორტსმენზე რაიმე უარყოფით ზემოქმედებას არ ახდენს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ მსოფლიოს მრავალი გამოჩენილი მოთამაშე (მეტიუზი, რაიტი, ლაუტონი, დიდი, ფინეი, დი სტეფანო და მრავალი სხვა) თავიანთი ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერის მანძილზე წელიწადში 10-11 თვე თამაშობდნენ და ნორმალურად, გადაუღლელად იტანდნენ ასეთ დატვირთვებს ათეული წლები. ჩვენში ასეთ სპორტულ „ჭარმაგობას" გაცილებით იშვიათად ვხვდებით (პ. და ნ. დემენტიევები, ა. ღოღობერიძე და სხვ.).

მაგრამ იგივე გამოცდილება დამაჯერებლად მოწმობს, რომ ხანგრძლივი საშეჯიბრებო სეზონი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ დავიცავთ ძირითად მოთხოვნას: კალენდარი უნდა იყოს მკაცრად რიტმული, თამაშები ჩატარდეს კვირაში ერთხელ — შაბათს, ან კვირადღეს. თუ ეს პირობა დაცულია, საშიშიც არაფერი გვექნება სპორტსმენის ჯანმრთელობაზე და სასწავლო-საწვრთნელი მუშაობაც უფრო გეგმაზომიერი და მიზანდასახული გახდება.

შეჯიბრების კალენდრის დაგეგმვისას უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ გუნდებს გასვლაზე თამაშმა მოუწიოს არაუმეტეს ორჯერ ზედიზედ. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ როცა ფეხბურთელს ხანგრძლივი დროით მოწყვეტ თავის ბაზას, კოლექტივს, ოჯახს, ეს უარყოფით გავლენას ახდენს აღმზრდელობით მუშაობაზეც, გუნდის მორალურ მდგომარეობაზეც, მოთამაშეთა სპორტულ ფორმაზეც და, გარდა ამისა, ხელს უშლის სპორტსმენთა საერთოგანმავითარებელ სწავლას: ჩვენი ფეხბურთელების უმრავლესობა ხომ სტუდენტებია.

თუ კალენდარს გავახანგრძლივებთ 11 თვემდე, ბუნებრივია, უნდა უზრუნველვყოთ მატჩების ჩატარებაც ნორმალურ პირობებში, რომ გუნდებს თამაშმა არ მოუწიოს თოვლსა და ყინვაში. ამიტომ ზამთრობით, ადრეულ გაზაფხულზე და შემოდგომით მათი დაგეგმვა საჭიროა სამხრეთის სტადიონებზე. ასეთი ადგილებია საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და შუა აზიის რესპუბლიკები.

სეზონის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით, ჩემი აზრით, მიზანშეწონილია გადაისინჯოს ფეხბურთელთა შვებულების ამჟამად არსებული სისტემაც. შესაძლებელია მიზანშეწონილიც იყოს მოთამაშეებს ყოველწლიური შვებულება მივცეთ მონაცვლეობით, რიგრიგობით და არა ისე, როგორც ახლა, როცა გუნდი მთლიანად მიდის დასასვენებლად.

კიდევ ერთხელ გვსურს ხაზი გავუსვათ იმ ტურნირების დიდ მნიშვნელობას, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირისა და უცხოეთის ქვეყნების უძლიერესი გუნდები. ასეთი შეჯიბრებები დიდ სარგებლობას მოუტანენ თვით ფეხბურთელებსაც და ცხოველ ინტერესს გამოიწვევენ მაყურებელთა ფართო წრეებშიც. უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა ფეხბურთელთათვის განსაკუთრებით საჭიროა სატურნირო ბრძოლათა გამოცდილების მიღება, რაც მათ ჯერ კიდევ აკლიათ.

ტურნირები შეიძლება ჩატარდეს წელიწადის ყოველ დროს, ზამთარშიც კი. პირველი ნაბიჯი ამ მიმართებით გადაიდგა, მაგრამ ეს არაა ის ღონისძიება, რომელსაც ჩვენ გთავაზობთ. ახლანდელი ტურნირები თბილისში, ტაშკენტში, სამარყანდში, ერევანსა და ფერგანაში ანგარიშში მისაღები არაა, ვინაიდან ჩვენ ვლაპარაკობთ ტურნირებზე 4-5 პირველხარისხოვანი კლუბის (მათ შორის უცხოურისაც) და არა შემთხვევით მოხვედრილი გუნდების მონაწილეობით, როგორც ეს ახლა იყო. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ამგვარი ტურნირები ჩატარდეს არა ექსპრომტად, არამედ წინასწარ დაგეგმილ ვადებში. წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდების გეგმაზომიერი მზადება დაირღვევა. ნათქვამთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებლად გვჭირდება ერთიანი, კომპლექსური კალენდარი, სადაც რაციონალურად დაიგეგმება საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობაც (მსოფლიოსა და ევროპის პირველობანი და სხვ.) და ჩვენი საკავშირო შეჯიბრებებიც. ყოველივე ეს იმგვარად უნდა დაიგეგმოს, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი გუნდების წარმატებით მონაწილეობა ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო საერთაშორისო შეჯიბრებებში. ყველა შეჯიბრება ლოგიკურად უნდა იქნას დაკავშირებული ერთმანეთთან.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩვენი ქვეყნის ნაკრების თამაშები არ ემთხვეოდეს საკავშირო ჩემპიონატის მატჩებს, როცა კლუბები სისტემატურად თამაშობენ საკავშირო ჩემპიონატის შეხვედრებში ისე, რომ აკლიათ თავიანთი წამყვანი ფეხბურთელები. ამით ისინი ფაქტიურად დაზარალებულთა როლში გამოდიან და საბოლოოდ მოკლებული ვართ საშუალებას დავადგინოთ მონაწილე გუნდების ნამდვილი სიძლიერე. გამოდის, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატი მთელი სისრულით არ ემსახურება თავის ძირითად დანიშნულებას. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ ნაკრები გუნდის წევრთა ხანგრძლივი მოწყვეტა თავიანთი კლუბებიდან არ ხდება არც ერთ იმ ქვეყანაში, რომლებიც ლონდონის ჩემპიონატში მონაწილეობენ. ამასთან, 1966 წლის სეზონი ამ მიმართებით ჩვენთვის გამონაკლისს ხომ არ წარმოადგენს: ჩვენს ნაკრებს ყოველ წელს უწევს გამოსვლა ან მსოფლიო ჩემპიონატში, ან ევროპის პირველობაზე, ან ოლიმპიურ თამაშებში.

ყოველივე ამას თავიდან ავირიდებთ, თუ წინასწარ, დაახლოებით 1 წლით ადრე, შევადგენთ ერთიან კალენდარს და ყველა შეჯიბრებას რაციონალურად გავანაწილებთ 10-11 თვეზე, თუ ნაკრების მატჩები არ დაემთხვევა საკავშირო ჩემპიონატის თამაშებს, კალენდარული მატჩები ჩატარდება რიტმულად, კვირაში ერთხელ. ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრები და ზოგიერთი სხვა თამაში შეიძლება შევიტანოთ კვირის შუაში. ასეთი შეხვედრები არ აღემატება 5-8-ს და ნორმალურ საწვრთნელ მუშაობას ეს თითქმის არც დაეტყობა.

სეზონებს შორის პერიოდის ლიკვიდაციისას დიდი მნიშვნელობა აქვს საფეხბურთო მინდვრების შენარჩუნების პრობლემას. საჭიროა სასწრაფოდ შევისწავლოთ ეს საკითხი. კერძოდ, „გიპროსპორტმა" და სხვა საპროექტო ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ საკითხი, თუ საჭიროების შემთხვევაში როგორ შეიძლება სწრაფად გადავაფაროთ საფარი მინდორს და სწრაფადვე ავიღოთ იგი (ამ შემთხვევაში შეიძლება უცხოეთის გამოცდილების გამოყენება), გამოვცადოთ თესვის სხვადასხვა რეცეპტურა და დავთესოთ ისეთი ბალახი, რომელიც სხვადასხვა დროს ამოდის და ამით მთელი წლის მანძილზე შევინარჩუნოთ მწვანე ბალახის საფარი, შევიმუშაოთ მინდვრის გათბობის სისტემა და სხვა ღონისძიებანი. ერთი სიტყვით, გავაკეთოთ ყველაფერი, რათა სათამაშო მინდორი წელიწადის ყოველ დროს მზად იყოს შეჯიბრების ჩასატარებლად.

თუ ჩვენს მიერ გამოთქმული წინადადებანი პრაქტიკულად განხორციელდება, შეიქმნება ნორმალური პირობები სრულწლიური საწვრთნელი მუშაობისთვის, აღარ იქნება სპორტული ფორმის შენარჩუნების პრობლემაც სეზონებს შორის პერიოდში. ჩვენი საკლუბო კოლექტივები და ნაკრები გუნდები მუდამ მზად იქნებიან გამოვიდნენ ყოველგვარი მასშტაბის შეჯიბრებებში წელიწადის ყოველ დროს.

შეჯიბრების კალენდრის რაციონალური აგება ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ოსტატთა გუნდებისთვის 10-11-თვიანი ანგარიშით და სეზონებს შორის შესვენების პერიოდის ლიკვიდაცია დღეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელსაც ესაჭიროება სწრაფი, ოპერატიული გადაწყვეტა. მისი წარმატებით და დროულად გადაჭრაზე დიდადაა დამოკიდებული ჩვენი ფეხბურთის მომავალი.

საჭიროდ მიმაჩნია შევეხო კიდევ ორ საკითხს.

ერთ-ერთი მათგანი უკვე იყო დასმული განსახილველად და თუმცა იგი აქტუალურად, დიდმნიშვნელოვნად მიიჩნიეს, დღემდე მაინც გადაუჭრელია. ლაპარაკია იმაზე, რომ საჭიროა მოხდეს საბჭოთა მწვრთნელების გამოცდილების გაცვლა-გამოცვლა მათს უცხოელ კოლეგებთან, რაც საერთო საქმეს სარგებლობას მოუტანს. მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების მრავალ დარგში ფართოდაა დანერგილი გამოცდილების გაზიარება და ურთიერთთანამშრომლობა საბჭოთა და უცხოელ (პირველ ყოვლისა, სოციალისტური ქვეყნების) სპეციალისტთა შორის. ასეთი თანამშრომლობის სარგებლიანობა უეჭვოა, მაგრამ რატომ პრაქტიკულად არ მივმართავთ მას საბჭოთა ფეხბურთის სინამდვილეში? ჩვენ დიდი ხანია გამოვედით ფეხბურთის საერთაშორისო სარბიელზე, ყოველწლიურად ვზრდით ჩვენი და უცხოეთის გუნდების ნაცნობობის გეოგრაფიას და ამავე დროს საკუთარ წვენში ვიხარშებით. მრავალ ქვეყანაში (უნგრეთი, ბულგარეთი, გდრ, ინგლისი, ბრაზილია, იტალია, ესპანეთი და სხვ.) კარგა ხანია ორგანიზებულია გამოცდილების გაზიარება წამყვან სპეციალისტთა შორის და, როგორც ვიცით, ასეთმა პრაქტიკამ სათანადო ნაყოფიც გამოიღო.

და კიდევ ერთი საკითხი: მსაჯობა. ვფიქრობ, ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა მნიშვნელობა აქვს მსაჯობას ჩვენი ფეხბურთის კლასის ზრდაში. ჩვენ გვყავს კარგი არბიტრები, მაგრამ საერთო მასაში მსაჯობის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება დღევანდელობის გაზრდილ მოთხოვნებს. აქ არ გვინდა მოვიყვანოთ რაიმე კონკრეტული მონაცემები. მათი რიცხვი ისედაც დიდია ცენტრალური და სპორტული პრესის ფურცლებზე, სადაც ხშირად მოჰყავთ სუსტი მსაჯობის ფაქტები. გავიხსენებ მხოლოდ ერთ შემთხვევას: უბრალო სტატისტიკური მონაცემები 11-მეტრიანი დარტყმების დანიშვნისა მასპინძელთა და სტუმართა მხარეს ნათელყოფს, რომ სტუმართა კარში ეს უმაღლესი სასჯელი ინიშნება გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე მასპინძლებისაში. კომენტარები აქ ზედმეტია. ჩვენი წინადადებაა გარდა მსაჯთა მიმართ საერთო მომთხოვნელობის მკვეთრი გაზრდისა, ვცადოთ პრაქტიკაში დაინერგოს მსაჯების დანიშვნა ჩემპიონატის ყოველი მორიგი ტურის წინ კენჭისყრით. ამ კენჭისყრისას უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ მსაჯად არ მოხვდეს იმავე ქალაქის წარმომადგენელი, რომლის გუნდიც თამაშობს.

მე არ მაქვს პრეტენზია, რომ ყველა აქ წამოყენებული დებულება უდავოა. წერილის გამოქვეყნება ნაკარნახევია მხოლოდ სურვილით ჩვენი წვლილი შევიტანოთ იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, რომლებსაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს უმაღლესი ლიგის შეჯიბრებათა ორგანიზაციაში და დავეხმაროთ ჩვენს ფეხბურთს სერიოზული ნაბიჯი გადადგას წინ.

* ყოველკვირეული დამატება „ფუტბოლი", № 31, 1962 წლის 26 აგვისტო. „გადაუდებელი საკითხები".

● მადრიდი, 11 მარტი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელმა — მადრიდის „რეალის" კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა გათამაშების ნახევარფინალის III ტურში დაამარცხა მილანის „სიმენტალი" — 71:66 (33:40). ამ გუნდების საპასუხო მატჩი შედგება 17 მარტს მილანში.

● ვარშავა 11 მარტი. პოლონეთმა წამოაყენა თავისი კანდიდატურა ევროპის მოკრივეთა 1969 წლის ჩემპიონატის ორგანიზატორის როლზე. ეს წინადადება განიხილება კრივის საერთაშორისო სამოყვარულო ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, რომელიც მარტში პირველად გაიმართება ვარშავას. 1969 წელს პოლონეთის ოლიმპიური კომიტეტი თავისი არსებობის 50 წლისთავს აღნიშნავს, ხოლო პოლონეთის მოკრივეთა კავშირი — დაარსების 45 წლისთავს. ამ დროისთვის კატოვიცეში აიგება 14.000-ადგილიანი სპორტის სასახლე, რომელიც ზემოაღნიშნული ჩემპიონატის ჩასატარებლად ძალზე ხელსაყრელი ადგილი იქნება.

● პრაღა, 11 მარტი. 24 ქვეყნის ფრენბურთელმა ვაჟებმა უკვე განაცხადეს სურვილი მონაწილეობა მიიღონ მსოფლიოს მორიგ ჩემპიონატში, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში გაიმართება 30 აგვისტოდან 11 სექტემბრამდე.

# ჭეშმარიტი ხელოვანი

იყო დრო, როცა საჭადრაკო ეტიუდი მხოლოდ კარგად გარჩეულ ენდშპილს წარმოადგენდა. მას აკლდა ცხოველმყოფელობა, იდეათა სიმრავლე და სინატიფე. მაშინ, რასაკვირველია, ზედმეტიც იყო ლაპარაკი საეტიუდო ხელოვნების არსებობაზე.

და აი, 1895 წელს რუსეთისა და უცხოეთის პრესაში გამოჩნდა ა. ტროიცკის პირველი ეტიუდები. გამოჩნდა და ყველამ უმალ იგრძნო, რომ კომპოზიციის სფეროში შემოიჭრა დიდი შემოქმედი. მან „დაუახლოვა ეტიუდი საჭადრაკო პარტიას, გახადა იგი პარტიის ეპიზოდად. გარეგნულ ფორმას მისცა სისადავე და ბუნებრიობა, ხოლო თამაში გააცოცხლა ისეთი ღრმად ჩაფიქრებული, მოხდენილი კომბინაციით, რომელიც ამომხსნელში აღვიძებს ესთეტიკურ გრძნობას".

ამის საილუსტრაციოდ მოგვყავს ეს შესანიშნავი ეტიუდი, რომელიც 1897 წელს გამოქვეყნდა.

ა. ტროიცკი



თეთრები იწყებენ და იგებენ.

ა. ტროიცკიმ დაამუშავა თანამედროვე მხატვრული ეტიუდის თეორია, რომლის პრინციპებზე განვითარდა საბჭოთა საეტიუდო სკოლა.

როგორია ამ თეორიის საფუძვლები?

**ა. ტროიცკის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო**

აი, ავტორის ზოგიერთი შეხედულება: „ეტიუდის წარმოშობა შეიძლება იყოს ორნაირი: პრაქტიკული პარტიიდან წარმოქმნილი, ან შემოქმედების ნაყოფი... ეტიუდი მით უფრო ძვირფასია როგორც მხატვრული ნაწარმოები, რამდენადაც რთულია იგი და მდიდარია მისი იდეები. ჭადრაკის თამაშში ყველაზე მიმზიდველია ბრძოლა. სწორედ ეს უნდა აისახოს ეტიუდში..."

დიდი ეტიუდისტის ა. ტროიცკის მიერ აღმოჩენილი იდეები და მრავალი ჩანაფიქრი დღემდე იტაცებთ კომპოზიტორებს. მის წიგნებსა და სტატიებს ამჟამადაც არ დაუკარგავთ ცხოველმყოფელობა და დღესაც ინტერესით იკითხებიან, ახალგაზრდებს დიდი ხელოვნებისაკენ უკაფავენ გზას.

ალექსი ტროიცკი დაიბადა 1866 წლის 14 მარტს პეტერბურგში. რიგის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი შევიდა პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტში, რომელიც 1894 წელს დაასრულა. 1896 წლიდან იგი მეტყევედ მუშაობდა სმოლენსკის და პენზის გუბერნიებში. სიცოცხლის ბოლო პერიოდი ა. ტროიცკიმ გაატარა ლენინგრადში, სადაც ბლოკადის დროს (1942 წელს) გარდაიცვალა.

ნიჭიერმა კომპოზიტორმა ეტიუდი ჭეშმარიტ ხელოვნებად გადააქცია. ამიტომ იყო, რომ ა. ტროიცკის, როგორც თანამედროვე ეტიუდის ფუძემდებელს, 1928 წელს მიენიჭა რსფსრ-ს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება, 1934 წელს კი — ერთ-ერთ პირველთაგანს — სპორტის ოსტატის წოდება კომპოზიციაში.

თ. გიორგაძე.



ფოტოხუმრობა

ავტორი გ. კაჭარავა.

# „მიტროპის თასზე"

ფლორენციაში ჩატარდა „მიტროპის თასის" მონაწილე გუნდების კენჭისყრა.

პირველ წრეში ერთმანეთს ხვდებიან „სლავია" (პრაღა) — მტკ (ბუდაპეშტი), „ადმირა" (ვენა) — „იედნოტა" (ტრენჩინი, ჩეხოსლოვაკია), „ცრვენა ზვეზდა" (ბელგრადი) — „ნაპოლი", „სარაევო" — „ვინერ შპორტკლუბი".

პირდაპირ ნახევარფინალში დაუშვეს „მიტროპის თასის" ახლანდელი მფლობელი „ვაშაში" (ბუდაპეშტი) და ბოლო გათამაშების ფინალისტი „ფიორენტინა".

□ ლიონი. ადგილობრივ დახურულ სტადიონზე გაიმართა საფრანგეთისა და გფრ-ის მძლეოსანთა მატჩი. გაიმარჯვეს მასპინძლებმა (69,5:65,5), რომლებმაც რამდენიმე ეროვნული მიღწევა დაამყარეს. აი, მათი ავტორები: პიკემალი (60 იარდზე რბენა — 6,1), დიური (60 იარდზე თარჯრბენი — 7,2). დ'ანკოსი (ჭოკი — 5 მ), შილკოვსკი (სიმაღლე — 213 სმ). 1500 მეტრზე რბენაში მ. ჟაზიმ წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგი აჩვენა — 3.40,7.

□ **ველინგტონი.** რ. უილიამსმა ახალი ზელანდიის რეკორდი დაამყარა ათჭიდში — 7266 ქულა.

□ სიდნეი. მძლეოსანთა აქ გამართულ ტურნირში ავსტრალიის ახალი რეკორდი დაამყარა ჭოკით მხტომელმა ფლიშმა — 477 სმ. 400 მეტრზე თარჯრბენში მაღალ შედეგს მიაღწია ნოკმა — 50,6. პიკემალმა გადალახა 213 სმ სიმაღლე.

□ **ლონდონი.** ტრინიდადელმა მძლეოსანმა, ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა მოტლიმ 440 იარდზე რბენაში აჩვენა 47,1, რაც წლეულს საუკეთესო დროა მსოფლიოში (დახურული შენობისთვის).

□ ქოსკენი. გაიმართა ამერიკის კონტინენტის კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის ბოლო მატჩები. აშშ-მ დაამარცხა არგენტინა — 59:54, ბრაზილიამ — ურუგვაი — 53:45. საბოლოოდ, ადგილები ასე განაწილდა: I. აშშ, — 12 ქულა, II. არგენტინა — 8, III. ბრაზილია — 6. შემდეგ მოდიან: ურუგვაი — 6, ჩილი — 4, პერუ — 4. პარაგვაი — 2 ქულა.

□ **მელბურნი. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ავსტრალიის ახალი რეკორდი დაამყარა დისკენმა — 54,2.**

# მრავალუცნობიანი...

საქართველოს ვაჟთა წლევანდელი XXVII საჭადრაკო ჩემპიონატი რამდენიმე მნიშვნელობის მატარებელია. ჩემპიონის გამოვლენასთან ერთად, ასპარეზობამ უნდა „დაგვისახელოს" სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატის 2 ნახევარფინალისტი, საქართველოს ვაჟთა II საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი და რესპუბლიკის ნაკრების კანდიდატები. სწორედ ამან განაპირობა ჩემპიონატისადმი შესარჩევი ტურნირების ხალხმრავლობა.

XXVII ჩემპიონატს წინ უსწრებდა ორი შესარჩევი ასპარეზობა — თბილისის პირველობა და გორში გამართული ნახევარფინალური შეჯიბრება. ორივე ტურნირი ორ ეტაპად მოეწყო და მათში 100-ზე მეტმა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა. ბოლოს გამოვლინდნენ ფინალისტებიც, რომლებიც გადამწყვეტ ბრძოლებში გამოვლენ. ესენი არიან: თბილისის პირველობაში „გაბედნიერებულნი" — ი. ჩიქოვანი, ა. ბუსლაევი, ა. ბოკუჩავა, ლ. კერნოჟიცკი, მ. ჩაგუნავა, ე. უბილავა, თ. გიორგაძე, ვ. დავითაშვილი, ს. ჩიჩელიანი, გორის „წარმომადგენლები" — ა. რაზოვსკი (ქუთაისი), ა. ჩხაიძე (თეთრი წყარო), ვ. თოხაძე (ლანჩხუთის რაიონი, სოფ. აცანა), ა. გვენცაძე (ამბროლაური), გ. მუკნიაშვილი (გორი).

ჩვენმა საჭადრაკო ფედერაციამ ასპარეზობაში მიიწვია შარშანდელ ჩემპიონატში გამარჯვებული ოსტატები ბ. გურგენიძე, რ. ჯინჯიხაშვილი და ოსტატობის კანდიდატი ო. ელიოზიშვილი, აგრეთვე დაუშვა ოსტატი თ. ლომაია (შესარჩევი შეჯიბრების დროს იგი ვოლგოგრადის ლია ჩემპიონატში თამაშობდა) და ნანა ალექსანდრია. ფედერაციამ გაითვალისწინა, რომ მოჭადრაკე გოგონას წლეულს მრავალ დიდ ასპარეზობაში (სსრ კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალი, გოგონათა შორის მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირი და სხვ.) უწევს მონაწილეობა და წვრთნის მიზნით კონკურსგარეშე ჩარიცხა იგი ჩემპიონატში.

14 მარტს შედგება ჩემპიონატის გახსნა, 15-ში კი — I ტური.



ჭადრაკი

# ა. ალიოხინის ხსოვნისადმი მიძღვნილი

თბილისის „დინამოს" საჭადრაკო კლუბში ამას წინათ მოეწყო მსოფლიო ჩემპიონის ა. ალიოხინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. მოხსენება გენიალური მოჭადრაკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე წაიკითხა სპორტის ოსტატმა ა. ბუსლაევმა.

ოსტატმა ი. ჩიქოვანმა დამსწრეთ აჩვენა კემერის 1937 წლის საერთაშორისო ტურნირიდან ალიოხინის პარტია ს. რეშევსკისთან.

დასასრულ გაიმართა ელვისებური ტურნირი 22 კაცის მონაწილეობით. I პრიზი დაისაკუთრა თბილისის ჩემპიონმა ი. ჩიქოვანმა.

შაში

# სტარტს იღებენ

დღეს სპორტკლუბ „სინათლის" საჭადრაკო-საშაშო კლუბში იწყება თბილისის ვაჟთა პირველობა რუსულ შაშში. ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 14 მოშაშე: სპორტის ოსტატები თ. ბარამიძე, ს. პახლავიანი, ნახევარფინალებში გამარჯვებულნი — ოსტატობის კანდიდატი ი. სპესივცევი და პირველთანრიგოსნები გ. მალალაშვილი, ი. ჩერკაშინი, შ. თუმანიშვილი, ვ. ბახტაძე, ნ. ხუციშვილი, ვ. მამაკოვი, ნ. რაჟამაშვილი, გ. მინასიანი, ვ. ინწკირველი, ვ. ხარებოვი და პ. კუჩეროვი.

5 გამარჯვებული დაიშვება საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატში, რომელიც ქუთაისს ჩატარდება აპრილში.

პ. სერგიაშვილი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტული აფიშა

**სპორტული ტანვარჯიში.** ტანვარჯიშული დარბაზი (პეტრიაშვილის ქ. № 7). **13 მარტი. საქართველოს პირველობა ჭაბუკთა შორის.** დასაწყისი 10 ს.

**რეგბი.** „დინამოს" სტადიონის სათადარიგო მოედანი. **13 მარტი. ქალაქის პირველობა.** დასაწყისი 13 ს.

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. №48). **13-21 მარტი. თბილისის ქალთა ჩემპიონატის ფინალი.** დასაწყისი 17 ს.

# დღეს დელისში!..

გაიმართება მოტოკროსში სსრ კავშირის ჩემპიონატის II ტური 250 და 500 კბ სმ-ის მოტოციკლებით, რის შემდეგ შეჯიბრების მონაწილენი გაემგზავრებიან სოხუმს, სადაც 27 მარტს ჩაატარებენ მორიგ შეხვედრებს. აქ ჩემპიონი გამოვლინდება მხოლოდ 500 კბ სმ მანქანებით რბოლაში. აქვე მოეწყობა საჩვენებელი შეჯიბრება 250 კბ სმ მოტოციკლებით. ამ კლასის მანქანების „მხედართა" შორის ჩემპიონი „დაიბადება" ივნისში კიშინიოვს, სადაც მოეწყობა III ეტაპი. თვითეულ კლასში საკავშირო ჩემპიონატის შედეგების მიხედვით შეირჩევა 4-4 უძლიერესი, რომლებიც მიიღებენ მსოფლიო ჩემპიონატის საგზურებს. წლევანდელი მსოფლიო პირველობის ფორმულა ასეთია: 250 კბ სმ-ის მანქანებით მოასპარეზენი ძალებს გამოცდიან 17 ქვეყნის, 500-ანები კი — 15 ქვეყნის ტრასებზე. ორივე კლასში ჩათვლაში შედის შვიდ ტრასაზე მოპოვებული საუკეთესო მაჩვენებლები.

ამრიგად, სსრ კავშირის უძლიერესი მოტოციკლისტები საქართველოში „ორ კურდღელზე ნადირობენ", ამიტომ დღევანდელი „თბილისური მიტელშპილი" საინტერესო ბრძოლას გვპირდება.

შეჯიბრება დაიწყება 12 საათზე. ასპარეზობის ადგილზე მისვლა შეიძლება ავტობუსით (№№ 2, 2-ა, 47, 47-ა, 50, 50-ა, 49) და ტროლეიბუსით (№№ 4, 5, 11).

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05875